

მურასაკი შიკიბუ • ამგავი უფლისწული გენჯისა



მურასაკი შიკიბუ

ამბავი
უფლისწული
გენჯისა

თარგმნა ლილი მჭედლიშვილა

შინაარსი

წინასიტყვაობა	7
ხებუერას შრამელი	13
ხესაგველა	44
ჭრიჭინობელას ცარიელი გარსი	95
მწუხრის ხატება	107
პატარა მურასაკი	159
აღისარჩული	214
მენამული ფოთლების დღესასწაული	252
ყვავილების დღესასწაული	285
კორკოტინები	299
წმინდა ხე საკაკი	352
ბალი, სადაც ყვავილების ფოთოლცვენაა	409
სუმა	414
აკაში	469
სანაპიროს ანკერებთან	516
აბზინდების რაყაში	553
ამბავი გენჯიზე	578
კომენტარები	589

წინასიტყვაობა

მდინარე კამოსა და კაცურას შორის გაშლილ ულამაზეს ველზე, სადაც საუცხოო ბუნება და კლიმატი, 794 წელს შენდება ქვეყნის ახალი დედაქალაქი ჰეიანი, სწორი, განიერი ქუჩებით, სამდინარო გზებით, დიდგვაროვანთა ლამაზი სასახლეებით და მეფის მდიდრული რეზიდენციით, რომლის გრძელი დერეფნების იატაკქვეშ ზაფხულის ცხელ დღეებში გრილი ნაკადულები მიჩუჩჩუხებს. თანდათან ძალას იკრებს ახალგაზრდა, ცენტრალური, ფეოდალური სახელმწიფო, რომლის ისტორიაც IX-XII საუკუნეებს მოიცავს. ამ პერიოდს დედაქალაქის სახელწოდების მიხედვით ჰეიანის ეპოქა ეწოდება და ქვეყნის ისტორიაში პოლიტიკური ძალმოსილებითა და ეკონომიკური კეთილდღეობით აღინიშნება. განსაკუთრებით დიდ აღმავლობას განიცდის და ვითარდება იაპონური ეროვნული კულტურა და ხელოვნება, წინა პლანზე გამოდის ხელოვნების მთელი რიგი დარგები, იქნება ეს მუსიკა, მხატვრობა თუ კალიგრაფია. განსაკუთრებით თვალში საცემია მხატვრული ლიტერატურა. ჯერ პოეზია იმკვიდრებს მყარ პოზიციებს და თითქმის ენაცვლება მყარად ფეხმოკიდებულ ჩინურ პოეზიას. ლექსის სამეტყველო ერთეული ხდება მარცვალი, რომლის რიტმულობას განსაზღვრავს არა მუსიკა, არამედ სიტყვა, ყალიბდება პოეტურ ნაწარმოებთა თხზვის გამოკვეთილი პრინციპები, ჩნდებიან ამ დარგის თეორეტიკოსები, რის დასტურადაც შეიძლება წარმოადგენილ იქნას პოეზიის დიდი საიმპერატორო ანთოლოგიის – „კოკინშუს“ (905 წ.) შემდგენელი და წინასიტყვაობის ავტორი, პოეტი კი-ნო ცურაიუკი (859-946 წწ).

განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის პროზა, იქმნება მხატვრული პროზის ყველა ჟანრის ნაწარმოები – პატარა თუ ვრცელი მოთხრობა, ნოველა თუ დღიური. ხოლო IX-X საუკუნეების მიჯნაზე იწერება მრავალპლანიანი უზარმაზარი ფსიქოლოგიური რომანი ყველა მისი მახასიათებლით, იქნება

ეს ფაბულა, ამბავთა რთული სისტემა, რთული სიუჟეტური კომპოზიცია თუ მკვეთრად გამოხატული სტილი. ასახავს ქვეყნის სახელმწიფოებრივ მონყოლას, ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებას, მეფის კარისა და იმ დროის დიდგვაროვანთა ყოფითი ცხოვრების სურათებს თუ ხალხის განსხვავებულ ზნე-ჩვეულებებს; მხედველობიდან არ რჩება არც „მდაბიორთა“ ყოფა და განწყობა. გზიბლავს დახვეწილი ლექსიკით, ლირიკული ნიაღვრელებით, საკმაოდ რთული, გააზრებული კომპოზიციით, სადაც სიუჟეტი ვითარდება ფაბულის ორი ძირითადი ფაქტორის – მოქმედების ქრონოლოგიური და სიუჟეტური თანამიმდევრობის მიხედვით. ეს არის ადრეული შუასაუკუნეების „სრულიად განსაკუთრებული მოვლენა, შედეგრი – „გენჯი – მონოგატარი“, „რომელსაც იაპონური ლიტერატურული კრიტიკა სხვადასხვაგვარად განიხილავს. ერთნი მასში ბუდისტურ მოძღვრებას, განსაკუთრებით კარმის მიზეზ-შედეგობრიობის შეფარულ ქადაგებას ხედავენ, მეორეთათვის ის დიდაქტიკური ნაწარმოებია, სხვათა აზრით ეს არის რამდენადმე შენიღბული ისტორიული ქრონიკა, სადაც რეალური გარემოებებია აღწერილი. ზოგს იგი პორნოგრაფიულ ლიტერატურულ ქრონიკადაც მიაჩნია, მაგრამ რომანი იმდენად გრანდიოზულია, იმდენად მნიშვნელოვანია აზრობრივად, რომ თითოეულ მითითებულ თეორიას და ალბათ სხვა მრავალსაც, ადვილი შესაძლებელია, თავისი ადგილი მოეძებნოს“, – წერს იაპონური კლასიკური ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი ნიკოლაი კონრადი.

რომანის ავტორია ფუჯივარების სამეფო გვარის სახელმწიფო მოღვაწეების, ლიტერატორებისა და პოეტების ოჯახში დაბადებული და აღზრდილი სეფექალი მურასაკი შიკიბუ (978-1014 წწ). დიდად განათლებული, ღრმად ჩახედული კონფუციანისტურ-ბუდისტურ ფილოსოფიაში, შესანიშნავად იცის თავისი თუ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, რელიგია, მშობლიური თუ ჩინური ლიტერატურა. შესანიშნავად ფლობს მუსიკას, მხატვრობას, კალიგრაფიას, არის მრავალი ლექსის ავტორი, რომელიც იმ დროის საუკეთესო ანთოლოგიებშია შეტანილი, დაწერილი აქვს დღიური, რომელიც „მურასაკი შიკიბუს დღიურის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

ნაწარმოები შედგება 54 თავისაგან, რომელიც ერთი შეხედვით მრავალი დიდი თუ პატარა ნოველის კრებულს ჰგავს, თუმცა ეს არის სიუჟეტურად შეკრული რეალისტური რომანი, „რომელსაც მკითხველი დღესაც აღტაცებაში მოჰყავს“. მასში მოთხრობილია ერთი ადამიანის – მეფე კირიციბოს საყვარელი უმრწემესი ვაჟიშვილის, ჰეკარუ გენჯის ცხოვრების ისტორია დაბადებიდან სიკვდილამდე. მეფეს ის არა მეუღლისგან, არამედ უმშვენიერესი ხარჭის, მიასუდოკოროსაგან ჰყავს. გენჯი მეფის სისხლისმიერი

შვილია, უზენაესთა წრის წარმომადგენელი, მაგრამ უფლისწულის ნოდებას არ ატარებს, ვინაიდან მამას არ ემეტება ძე უსაყვარლესი, ეტიკეტით განპირობებული იმ ათასგვარი რთული პირობითობით დაამძიმოს, რომლებსაც სამეფო გვარის წარმომადგენლები სიკვდილამდე თავს ვერ არიდებენ და რიგითი ქვეშევრდომის რანგში გააჰყავს, ხოლო „რიგით ქვეშევრდომ“ გენჯის ყოველგვარი მოქმედების, ყოველგვარი ნება-სურვილის აღსრულების სრული უფლება აქვს, რასაც შეუზღუდავად იყენებს, ხოლო სილამაზე და ნიჭიერება, რითაც ის უხვად არის დაჯილდოებული, ხელს უწყობს, დატკბეს ცხოვრებით. და აი, ჯერ სულ ახალგაზრდა გენჯი მთელი არსებით ემვება სიამოვნების მორევში. იგი ქალების კერპია, მას ერთმანეთისგან, როგორც პიროვნულად, ისე სოციალურად განსხვავებულ ქალთან აქვს კავშირი – იქნება ეს მეფის ასული თუ პროვინციელი წარჩინებული მოხელის მეუღლე. გენჯის საყვარლებს შორის ზოგი – ჯერ ძალიან პატარაა, ზოგი უკვე ასაკში შესული, თამამი და გამომწვევი. და მაინც, გენჯის ფარული ტრფობის, მისი მუდმივი ფარული სიყვარულის ობიექტი ხდება არა ვინმე სხვა, არამედ საკუთარი მამის ხარჭა – მომავალი დედოფალი, ჯერ სულ ნორჩი, უმშვენიერესი ფუფიცუბო, რომელიც მისთვის ჯერჯერობით სრულიად მიუწვდომელია, მაგრამ გადის დრო და ვნების ცეცხლით შეპყრობილი დიდი ხნის სანადელს ისრულებს, რაც უშედეგოდ არ ჩაივლის – ქვეყანას მოევიწიება მასავით ულამაზესი ბიჭუნა – მომავალი ხელმწიფე რეიძი.

ჯედავთ, როგორ მიედინება ნაწარმოების მთავარი გმირის – გენჯის ცხოვრების თითოეული დღე, როგორ აენწყობა მისი კარიერა მეფის კარზე, ვიგებთ, რაზე ნუხს და რა უხარია, თვალწინ წარმოგვიდგება მისი სიხარულით გასხივოსნებული უღრუბლო დღეები თუ უკუღმა შეტრიალებული ცხოვრების შავბნელი სურათები, მისი მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სამიჯნურო გატაცებების ფერადოვანი ეპიზოდები. ყოველივე ამის კვალდაკვალ რომანში მხატვრული სრულყოფილებით, დეტალურად არის აღწერილი მეფის კარისა თუ ჰეიანელი არისტოკრატიის ცხოვრების ავიცა და კარგიც.

სიუჟეტი ვითარდება ერთი მამაკაცისა და უამრავი ქალის ურთიერთობის ფონზე (თუმცა მთავარი მოქმედი გმირების გვერდით არიან სხვა ქალებიც) და მამაკაცებიც, მართალია მეორე პლანზე, მაგრამ არცთუ უინტერესონი, ხოლო ზოგჯერ საკმაოდ შთამბეჭდავნიც) და ეს ერთისა და ბევრის შეპირისპირება, რომელშიც მთელი რიგი დამხმარე მოტივები იკითხება, ურთულეს ფაბულურ ქსოვილს ქმნის, რაც ავტორს საშუალებას აძლევს, ხორცი შეასხას თავის ჩანაფიქრს, დამაჯერებლად წარმოაჩინოს ნაწარმოების თემა – „ჰეიანელი ქალი და ჰეიანელი მამაკაცი“, წარმოაჩინოს იდეა – „ქალი მხოლოდ

სათამაშოა მამაკაცის ხელში“.... მართალია, განცხრომით, ვნებით, განათლებით გაჯერებულ გარემოში ქალიც წინა პლანზეა, მისთვისაც ისევე ღიაა სასახლის კარი, ისევე შეუძლია მიიღოს განათლება, გამოხატოს თავისი გრძნობები, როგორც მამაკაცს, აქ სრული თანასწორობაა, მაგრამ ავტორი მაინც გულისტკივილით ამბობს – ქალები იმიტომ იბადებიან, რომ მოტყუებულები იქნენ მამაკაცებისაგანო...

მურასაკი თავისი ეპოქის ღვიძლი შვილია, თვალნათლივ წარმოგვიდგენს თანამედროვე ადამიანების შეხედულებების, წარმოდგენების სისტემას, უზადოდ სრულყოფილებით გადმოსცემს იმას, რამაც ააღელვა, რამაც მისი ყურადღება მიიპყრო, რაც ნახა და გულსა და გონებაში გაატარა. რომანში ნათლად იკითხება ჰეიანელი ადამიანების მსოფლხედვა, მათი სულიერი სამყარო თუ ესთეტიკურ შეხედულებათა ის სისტემა, რომელმაც განსაზღვრა იაპონური ლიტერატურის ეროვნული თავისებურება... იაპონელი განსაკუთრებულად აღიქვამს და განიცდის მშვენიერს – უყურებს თეთრად აფეთქებულ საკურას, უყურებს ყვავილს, აღტაცებულია მისი მშვენიერებით, მაგრამ სახიდან სევდიანი ღიმილი არ გადასდის – დიახ, აღტაცების მომგვრელია დილის ყვავილი, მშვენიერია თეთრად აფეთქებული საკურა, ადამიანი ხარობს ამ მშვენიერებით, მის გულში იგი ღირსეულ გრძნობებს აღძრავს, მაგრამ, არაფერია ამქვეყნად მარადიული, წარმავალი და ხანმოკლეა სიცოცხლე და მისი ეს ხანმოკლეობა სევდას ჰგვრის, სიცოცხლის წარმავლობაზე აფიქრებს... სწორედ ჰარმონიულობის ეს განცდა, „საგანთა ეს სევდიანი მომხიბვლელობაა“ („მონო-ნო ავარე“), რასაც იაპონელი არა გონებით, არამედ გრძნობით სწვდება, შეიგრძნობს და იზიარებს არსს მშვენიერისას...

„სწორედ ჰეიანის ეპოქაში დაედო სათავე მშვენიერის ტრადიციას, რომელიც მთელი ამ რვა საუკუნის განმავლობაში არა მხოლოდ გავლენას ახდენდა შემდგომი საუკუნეების იაპონურ ლიტერატურაზე, არამედ განსაზღვრავდა მის ხასიათს“, – ამბობს XX საუკუნის ცნობილი იაპონელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი იასუნარი კავაბატა.

რომანის 54 თავიდან აღნიშნულ თარგმანში წარმოდგენილია თხუთმეტი თავი, რომელიც მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნის X საუკუნის ამ უნიკალური ნაწარმოების, ლიტერატურული შედევრის შესახებ; იმ პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრების, ქვეყნის სახელმწიფოებრივი მოწყობის, რელიგიის, კულტურის, მისი ტრადიციების, ხალხის ზნე-ჩვეულების, ურთიერთობებისა თუ შეხედულებების შესახებ. ასევე, წარმოდგენას შეუქმნის რომანის იმ ესთეტიკასა თუ სტილზე, მხატვრული ლიტერატურის იმ ეროვნულ თავისებურებებზე, რომლებიც „იაპონიას უამრავ ერს შორის გამოარჩევს,

რაც ვლინდება არა სხვებთან შემგუებლობის უნარით, არამედ იმით, რაც ამოიზრდება მისი სულის შინაგანი არსიდან“; რომანისა, რომლის „გმირები ცოცხალი ადამიანები არიან“ და „რაც მისი მარადიული ახალგაზრდობის, მისი უცვლელი წარმატებების მიზეზია“.

ლილი მჭედლიშვილი

ხედავით სრამელი

მოქმედი პირები:

ხელმწიფე (იმპერატორი კირიციუბო) – გენჯის მამა

მანდილოსანი ხეხუერას სრამელიდან, მიასუდოკორო (კირიციუბოს ხარჭა) – გენჯის დედა

აძეჩი ნო დაინაგონი – კირიციუბუს ხარჭის, მიასუდოკოროს მამა

მანდილოსანი უხვი საბოძვრების სასახლიდან (ნიოოგო კოკიდენი ანუ მომავალი დედა-დედოფალი კოკიდენი) – მარჯვენა ვაზირის ასული, ხელმწიფე კირიციუბოს ხარჭა

მეფის მეოთხე ასული, ანუ მეფის ასული ცის ვაზის სრამელიდან (ფუჯიციუბო) – ხელმწიფე კირიციუბოს ხარჭა, მომავალი დედოფალი ფუჯიციუბო

პირველი უფლისწული, ანუ გაზაფხულის პალატა უფლისწული (მომავალი ხელმწიფე სუძაკუ) – კირიციუბოსა და ხარჭა კოკიდენის უფროსი ვაჟი

პატარა ბატონი (ბიჭუნა გენჯი) – ხელმწიფე კირიციუბოსა და ხეხუერას სრამელის ბინადარი მანდილოსნის, მიასუდოკოროს ვაჟი უფლისწული ჰიოობუ (შიკიბუკიო) – ცის ვაზის სრამელის ბინადარი მანდილოსნის, ფუჯიციუბოს ძმა

მარცხენა ვაზირი – გენჯის სიმამრი

მარცხენა ვაზირის ასული (აოი) – გენჯის მეუღლე

კუროდო ნო შოშო (ტოო ნო ჩუუჯოო) – მარცხენა ვაზირის ვაჟი

იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნაწარმოების მოქმედი პირები წარმოდგენილი არიან არა თავიანთი ნამდვილი სახელებით, არამედ წოდების ან თანამდებობის მიხედვით, რომელიც ამა თუ იმ პიროვნებას სახელმწიფო დაწესებულებაში ეკავა (ქალები უახლოესი ნათესავი მამაკაცის წოდების ან თანამდებობის მიხედვით).

რომელი ხელმწიფის დროს ხდებოდა ეს ამბავი? ეს ის დრო იყო, როცა მეფის კარზე უამრავი სეფექალი და წარჩინებული მანდილოსანი მსახურებდა. მათ შორის იყო ერთი, ვინც, მართალია, არც ისე მაღალი წოდებრიობის გახლდათ, მაგრამ ხელმწიფის განსაკუთრებული კეთილგანწყობით სარგებლობდა.

ის ქალბატონები, რომლებმაც იმ მზვარეული განწყობით შეაბიჯეს მეფის პალატებში, ვითომ ჩემზე უკეთესი ვინ არის – დიახაც სწორედ მეო! – მიახუდოკოროს სიცოცხლეს უმწარებდნენ, ამცირებდნენ, მის შესავგანებსა თუ მასზე დაბლა მდგომებს შურისგან ყველას სიმშვიდე ჰქონდა დაკარგული. სასახლეში დილის ან საღამოს მოვალეობის აღსრულებითაც კი, გარშემო მყოფთა გულებში მხოლოდ შურს და სიძულვილს, რისხვას და გულისწყრომას აღძრავდა. ვინ იცის, იქნებ სწორედ ამის გამო იყო, ქალი დღითი დღე თვალსა და ხელს შუა რომ იღეოდა, დარდი სულ უფრო ეძალებოდა და სულ უფრო მეტ დროს თავის საგაზრდილოში ატარებდა. ხელმწიფე მართალია, წუხდა ამის გამო, მაგრამ აზრად არასოდეს მოსვლია, მისი ეს სისუსტე ხალხს შეიძლება საძრახისად ეჩვენოსო. მისი კეთილგანწყობა ამ ბანოვანის მიმართ იმდენად დიდი იყო, ეჭვიც არავის ეპარებოდა, მათი სიყვარულის ამბავი დროს გაუძლებდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

წარჩინებული გვამები თუ სასახლის რიგითი კარისკაცები თვალს არიდებდნენ და ბუზღუნებდნენ, ამ ქალის მიმართ ხელმწიფის გადაჭარბებული ყურადღება გაკიცხვას იმსახურებს, ოდესღაც ჩინეთის მიწაზე განა სწორედ ამგვარ ვითარებაში არ დაიწყო შფოთი და არეულობაო.¹

მაღე ჭორი და მითქმა-მოთქმა მთელ ქვეყანას მოედო, ამ ქალის

¹ ძველი ჩინეთის ისტორიაში მრავალი შემთხვევაა ცნობილი, როცა იმპერატორის ხარჭა დიდი გავლენით სარგებლობდა და იმპერატორს აიძულებდა სისასტიკეს და უსამართლო ქმედებებს, რაც ქვეყანაში ზოგჯერ უბედურების მიზეზი ხდებოდა. ზოგიერთი იაპონელი კომენტატორის აზრით, ამ შემთხვევაში იგულისხმება, ერთი მხრივ, ინის დინასტიის უკანასკნელი იმპერატორის – ჩთუ ვაის (ძვ.წ. 1154-1122) ხარჭა, ხოლო მეორე მხრივ – ჩოუს დინასტიის იმპერატორის, იუ-ვანისა (ძვ.წ. 781-770). პირველს მოსწონდა, სასტიკად როგორ სჯიდნენ ადამიანებს. მეორესთვის, იმპერატორს მისთვის რომ ესაიამოვნებინა, ცრუ განგაშზე არმია საბრძოლველად აყარა, მაგრამ როცა ქვეყანაში ნამდვილი საშიშროება შეიქმნა, არმიას ისევ ცრუ განგაში ეგონა და ქვეყანა მტრის ხელში აღმოჩნდა.

სახელი საყოველთაო აღშფოთების მიზეზად იქცა; ის კი არა, იან გუიფის¹ ამბავსაც კი იხსენებდნენ და ქალსაც დარდი და მწუხარება დღითი დღე უათკეცდებოდა, თუმცა ძველებურად სასახლეში ცხოვრობდა და ნუგეშს მხოლოდ ხელმწიფის უბადლო, მართლაც რომ აუხსნელ კეთილგანწყობაში პოვებდა.

ამ მანდილოსნის მამა – აძეჩი ნო დაინაგონი – რა ხანია ამ ქვეყანას აღარ იყო, ხოლო დედა, აძეჩი ნო დაინაგონის სახლის ჩრდილოეთ მოსასვენებლების² ქალბატონი, ძველი ადათ-წესების მიმდევარი და თანდაყოლილი კეთილშობილებით მოსილი ბანოვანი, სულ იმის ცდაში იყო, ყოველი ზეიმის დროს მისი ასული არც ერთ იმ ქალიშვილს არ ჩამორჩენოდა, რომელთა არც ნოდება ინვევდა ეჭვს საზოგადოებაში და ორივე მშობელი – დედაც და მამაც ცოცხალი ჰყავდა. მიუხედავად ამისა, მათი ასული გავლენიანი მფარველის გარეშე იყო დარჩენილი და რაიმე ისეთი რომ მომხდარიყო, ყოველგვარი შეშინსა და ქომაგის გარეშე აღმოჩნდებოდა.

არ ვიცი, იმიტომ, რომ ხელმწიფესა და ამ ქალს შორის კავშირი შორეულ წინა ცხოვრებაშიც არსებობდა თუ სხვა რამ მიზეზის გამო, ისეთი მშვენიერი ვაჟი ეყოლათ, რომლის მსგავსი დედამინის ზურგზე ჯერ არავის ეხილა – ნამდვილი ფასდაუდებელი ობოლი მარგალიტი!..

ხელმწიფე, რომელსაც მოუთმენლობა კლავდა, ბრძანა, ბიჭუნა რაც შეიძლება მალე გადმოეყვანათ სასახლეში.³ და აი, მოიყვანეს თუ არა, ერთი კი დახედა და – ეს ბავშვი მართლაც ზღაპრული სილამაზისააო, ბრძანა.

ამ მანდილოსნისგან განსხვავებით, უფროსი უფლისწულის დე-

¹ იან გუიფი ჩინეთის იმპერატორის – შუან-ცუნის (713-755) საყვარელი ხარჭა. მისით მოხიბლული იმპერატორი თითქმის ჩამოსცილდა სახელმწიფო საქმეებს და წინააღმდეგობა ვერ გაუწია აჯანყებულ ან ლუიშანს.

² ჩრდილოეთ მოსასვენებლების ქალბატონს ეძახდნენ ხელმწიფის მთავარ ცოლს, რომელიც ქმრის სახლში ცხოვრობდა. ავტორი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მანდილოსანი ხებუერას შრამელიდან იყო არა უბრალო ხარჭის, არამედ ხელმწიფის მთავარი ცოლის ქალიშვილი.

³ მეფის კარის ეტიკეტის მიხედვით, ხელმწიფის ხარჭა ცოტა ხნით ადრე მამის სახლში – საგაბრდილოში გადაჰყავდათ და სასახლეში მაშინ ბრუნდებოდა, როცა ბავშვი უკვე რამდენიმე კვირის იყო.

და – მარჯვენა ვაზირის ასული და ნიოოგოს¹ ნოდების მანდილოსანი გახლდათ. ჰყავდა უძლიერესი მფარველი და ვინაიდან სწორედ მისი ვაჟი – უფროსი უფლისწული მიაჩნდათ ტახტის მემკვიდრედ, ბიჭს ყველა ზედ დაჰფოფინებდა, ყველა ზომამზე მეტად ანებივრებდა. მაგრამ ახალმოვლენილმა ყრმამ უფროსი უფლისწული მალე სრულიად დაჩრდილა. უფროს ვაჟს ხელმწიფე ძველებურად სწყალობდა, თუმცა მისი სიყვარული უმრწემესადმი მართლაც რომ განუზომელი იყო. თავს ისე ევლებოდა, ისე ესათუთებოდა, როგორც უძვირფასეს განძსა და ფასდაუდებელ საუნჯეს.

პატარა უფლისწულის დედა იმ ბანოვანთა შორის არასოდეს ყოფილა, რომლებიც დღედაღამ ხელმწიფის მოსასვენებლებში მსახურებდნენ. პირიქით, სასახლის კარზე მას გაცილებით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და არც გარეგნულად უდებდა ტოლს ყველაზე დიდგვაროვან ქალბატონებს. ხელმწიფე გვერდიდან არასოდეს იშორებდა, თქვენ წარმოიდგინეთ, ზედმეტ დაჟინებულობასაც კი იჩენდა. სასახლეში სამღერად და სამუსიკოდ შეიყვებოდნენ თუ სხვა რამ სანახაობა გაიმართებოდა, ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში სხვებზე ადრე სწორედ მას უხმობდა და ზოგჯერ არც მერე იშორებდა გვერდიდან – აიძულებდა, ხელმწიფის მოსასვენებელში გატარებული ღამის შემდეგაც მის გვერდით ყოფილიყო. მოკლედ, ისე ექცეოდა, გარედან შემხედვარეს ეს ქალი შეიძლება ყველაზე დაბალი ნოდებულების მანდილოსნადაც მიგელო. თუმცა პატარა უფლისწულის მოვლინების შემდეგ მის მიმართ ხელმწიფის დამოკიდებულება ისე შეიცვალა, ნიოოგოს, ანუ უფროსი უფლისწულის დედას ახლა უკვე ეჭვის ჭია ღრღნიდა – ვაითუ, სწორედ ეს ბიჭი დაწინიონ ტახტის მემკვიდრედო.

ნიოოგო, ანუ უფროსი უფლისწულის დედა სხვებზე ადრე გამოჩნდა სასახლეში და ამად იყო, ხელმწიფე მას განსაკუთრებული ყურადღებით რომ აჯილდოებდა. გარდა ამისა, მისი შვილების დედა გახლდათ და განა შეეძლო, ანგარიში არ გაენია, ყურად არ ელო მისი წყენა.

ამ ქალს კი, უმრწემესი უფლისწულის დედას – მიასუდოკოროს, მართალია, ხელმწიფის წყალობა და სიყვარული არ აკლდა, მაგრამ

¹ ნიოოგო – იმპერატორის უმაღლესი თანრიგის ხარჭა

სასახლეში არცთუ ცოტა არაკეთილმოსურნე ჰყავდა, რომლებიც შემთხვევას არ უშვებდნენ, აბუჩად არ აეგდოთ და არ დაემცივებინათ. ამასთან, იყო სუსტი ჯანმრთელობის, ჰქონდა არც ისე მყარი მდგომარეობა და ნაცვლად იმისა, ხელმწიფის ამ კეთილგანწყობის გამო თავი ბედნიერად ეგრძნო, იტანჯებოდა. ამ ქალბატონს ხებუერას შრამელი – კირიცუბო ეკავა.¹

ჩამოიტოვებდა ხელმწიფე დანარჩენ სეფექალთა მოსასვენებლებს და მიაკითხავდა ხებუერას შრამელს, რის გამოც სხვებს უკმაყოფილების, ცხადია, არცთუ მცირე მიზეზი გააჩნდათ. ხოლო როცა ხელმწიფის მოსასვენებლისკენ თავად ქალი მიემართებოდა, რაც არცთუ ისე იშვიათი გახლდათ, ჩაუსაფრდებოდნენ მოშურნე ქალბატონები ხიდებსა თუ გადასასვლელებზე, ხან იქ, ხან აქ და თავს ყოვლად უგვანო საქციელის უფლებას აძლევდნენ, რის გამოც ამ ქალის, ანუ მთავადკოროს დამხვდურ თუ გამცილებელ ქალთა კაბის კალთებს ზოგჯერ ძალზე ცუდი დღე ადგებოდა. უფრო მეტიც, ხშირად მოილაპარაკებდნენ, ჩაკეტავდნენ ცხენის გადასასვლელს,² რასაც ხებუერას შრამელის ქალბატონი გზას ვერსაით აუქცევდა და რას აღარ ჰკადრებდნენ. საბრალოს, ეს ტკივილი და წყენა, რაც მის გულს შემთხვევიდან შემთხვევამდე სულ უფრო მეტად და მეტად ეუფლებოდა, დღითი დღე გაუსაძლის მდგომარეობაში აგდებდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, ხელმწიფეს ქალი ძალიან შეებრაღა და ბრძანა, საცხოვრებლად მომავალი გრილი ამინდების სასახლეში – კორიდენში გადაეყვანათ, ხოლო კოის³ წოდების ის ბანოვანი, რომელიც გრილი ამინდების სასახლეში უკვე დიდი ხანია ცხოვრობდა, სხვა საცხოვრისში ჩაესახლებინათ. ძნელი წარმოსადგენი არ არის, რაოდენ დიდი შეიძლება ყოფილიყო იმ კოის გულისტკივილი და წყენა!

¹ ხებუერას შრამელი (კირიცუბო, სხვაგვარად შიგეისა) იყო სასახლის კომპლექსის ოდნავ მოცილებით ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. იქ მისასვლელად ხელმწიფეს ყველა დანარჩენი ხარჭის მოსასვენებლების წინ უნდა გაეყო.

² ჩანს, იგულისხმება ფიცრის ასახდელი ფენილი. შენობის ირგვლივ შუშაბანდიანი გრძელი დერეფნის გაგრძელება, რომელიც აერთიანებდა ფლიგელებსა და მათ შორის არსებულ ნაგებობებს. საჭიროების დროს ფენილებს იღებდნენ, რის შემდეგაც შესაძლებელი ხდებოდა ნაგებობებს შორის ცხენით გავლა.

³ იხ. კომენტარები.

როცა უმრწემესს სამი წელი შეუსრულდა, ჰაკამით¹ შემოსვის წესი დიდი ზარ-ზეიმით გადაუხადეს და ამ შემთხვევის გამო, თუ სადმე სპეკალი, საუცხოო ოქრო ან სხვა რამ ძვირფასეულობა იყო სასახლის განძთსაცავებსა და საწყობებში, ქვიშასავით დაახვავეს. ამაზე თავად ხელმწიფემ იზრუნა. ამგვარი პატივი აქამდე მხოლოდ უფროს უფლისწულს თუ რეგებოდა. და აი, არც ამ ამბავს დაჰკლებია ჭორი და მითქმა-მოთქმა. მაგრამ ბიჭი იზრდებოდა და მისი არაკეთილმოსურნეების რიცხვიც თანდათან იკლებდა. ადამიანები, რომლებიც ღრმად სწვდებოდნენ საგნის არსს, მის დანახვაზე გოცებისაგან ადგილზე შეშდებოდნენ: უნახავს განა ვინმეს ჩვენს მიწაზე ამგვარი სილამაზეო?!

იმავე წლის ზაფხულში ხებუერას შრამელის² მიასუდოკორო შეუძლოდ შეიქნა, უნდოდა წასულიყო, მიეტოვებინა სასახლე, განტეგებას სთხოვდა მამისეულ სახლში ხელმწიფეს, მაგრამ ხელმწიფეს მისი გაშვება ვერა და ვერ გადაეწყვიტა.

– ცოტაც, ცოტაც მოიცადე... იქნებ... – ეუბნებოდა იგი, თუმცა ხედავდა, რომ ქალი ბოლო დროს ხშირად ავადმყოფობდა.

ავადმყოფის მდგომარეობა კი სულ უფრო უკან და უკან მიდიოდა. ხუთმა-ექვსმა დღემ რომ გაიარა, ისე დაუძღურდა, აღარაფრის აღარც ძალა ჰქონდა, აღარც ღონე. გამოუშვითო, დედაც ამაოდ ეაჯებოდა ხელმწიფეს, მაგრამ, ვაი რომ შეურაცხყოფის შიშით მიასუდოკორო ბოლოს იძულებული გახდა, თავისი პატარა ვაჟი სასახლეში დაეტოვებინა და თვითონ ჩუმიად წასულიყო... ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს – ხელმწიფე ქალს უკვე ველარ აკავებდა, მაგრამ, ო, რა მწარე იყო მისთვის ფიქრი იმაზე, რომ გაცილების უფლებაც არ ჰქონდა.³ მიასუდოკოროს, რომელიც ადრე

¹ ჰაკამა – ფართო შარვალი, როგორც მამაკაცის, ისე ქალის სამოსის აუცილებელი შემადგენელი. ჰაკამით პირველი შემოსვის წეს-ჩვეულება ტარდებოდა, როცა ბავშვი სამი წლის გახდებოდა.

² მანდილოსანი ხებუერას შრამელიდან, ანუ კირიციუბო ატარებდა კოის წოდებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელმწიფეს ვაჟიშვილი გაუჩინა, ეწოდა მიასუდოკორო (მომსახურე ქალი ხელმწიფის საძინებელში). ასე მოიხსენიებდნენ პატივისცემით იმ ხარჭას, რომლისგანაც ხელმწიფეს შვილები ჰყავდა.

³ იმპერატორს ეკრძალებოდა სასახლის ფარგლებს გარეთ გასვლა.

თავისი თვალისმომჭრელი სილამაზით ყველას გულს იპყრობდა, ლოყები ჩასცვენოდა, უსაზომო სევდა აღბეჭდოდა სახეზე და იმის გამო, რომ სიტყვის წარმოთქმის ძალაც აღარ ჰქონდა, მხოლოდ ოხრავდა. მეფეს კი, იმის დანახვაზე, ქალის სიცოცხლე როგორ იშრიტებოდა, აღარც წარსული ახსოვდა, აღარც მომავალი და მხოლოდ ტიროდა, ეფიცებოდა, მაგრამ ქალს თვალეში სხივი ჩაჰქრობოდა, ძალაგამოლეული სხეული ისე მოღვენთოდა, იფიქრებდი, საცაა სამუდამოდ მიატოვებდა სიცოცხლე... დიახ, იყო მიზეზი, რომელსაც ადამიანი შეიძლება სასონარკვეთილებაში ჩაეგდო!.. ტახტრევანის მოსატანად ხელმწიფემ, მართალია, განკარგულება გასცა, მაგრამ ქალის მოსასვენებელში შესულს საგაზრდილოში მისი განტევებისათვის არც ახლა ეყო ძალა...

– ჩვენ ხომ შევფიცეთ, ერთად გავდგომოდით უკანასკნელ გზას! არა, არ ნახვიდეთ უჩემოდ, არ მიმატოვოთ, – ემუდარებოდა ხელმწიფე და მისი თვალებიდან ენით აუნერელი სევდა იმზირებოდა.

– გული ჩემი მწუხარებით არის სავსე,
გზა ჩემი ცხოვრებისა – ზღვართანაა.
მე კი, ო, როგორ, როგორ მსურდა,
ერთად გავდგომოდით იმ გზას –
იმ შორეულ გზას...

– ეჰ, ვუნყოფი განა, ასე იქნებოდა ოდესმე... – ამბობს მიასუდოკორო და სუნთქვა ეკვრის, ჩანს, კიდევ რაღაცის თქმა უნდა, მაგრამ ძალა უკვე საბოლოოდ ღალატობს... „რაც არის, არის, არ გავუშვებ...“ – ის-ისაა გაიფიქრა ხელმწიფემ, რომ მაცნეც მოვიდა.

– ლოცვას, რომელიც დღეისთვისაა დანიშნული და რისთვისაც პატივცემული მონესე კაცები არიან მონვეულნი, მანამდე უნდა შეუდგნენ, სანამ მწუხრი დღის ფერებს წამოკრეფს, სანამ ღამე წამოგვეწევა, – აჩქარებს მაცნე ავადმყოფს და ხელმწიფეც, მიუხედავად იმისა, მეტად მტკივნეული იყო ეს მისთვის, იძულებული გახდა დამორჩილებოდა.

მთელი ის ღამე თვალი არ მოუხუჭავს შეურევებულს, მთელი ის

ლამე თეთრად გაათენა ხელმწიფემ, ვერა და ვერ დაიოკა გული მწუხარებისაგან.

ამბის გასაგებად ქალის საგაზრდილოში გაგზავნილი მაცნის დაბრუნების დრო ჯერ არ იყო, ხელმწიფე კი ადგილს ვერ პოულობდა, სახეზე ღიმი გაჰქრობოდა მწუხარებით დამაშვრალს, გაუთავებელი დრტვინავდა და გარშემო მყოფთ მოსვენებას არ აძლევდა.

როცა სასახლიდან გაგზავნილი მაცნე მიასუდოკოროს მამისეულ სახლს მიუახლოვდა, სახლიდან ხმამაღალი ტირილი მოესმა.

– ჯერ შუალამე გადასული არ იყო, რომ გარდაიცვალა, – უთხრეს ამბის გასაგებად მისულს და ისიც დამწუხრებული მაშინვე გამობრუნდა.

აბა, წარმოიდგინეთ, როგორი ძრწოლა აიტანდა ხელმწიფის გულს, როცა ეს ამბავი შეიტყო! შეშლილივით თავის მოსასვენებელში ჩაიკეტა და ახლა მხოლოდ ძე უმრწემესი ენატრებოდა, მაგრამ ვინათგან არასოდეს ყოფილა, მსგავს შემთხვევებში ბავშვი სასახლეში დაეტოვებინოთ, იძულებული გახდნენ, ბიჭი დედულეთში გაეგზავნათ. პატარა უფლისწული, რა თქმა უნდა, ვერაფერს ხვდებოდა და მწარედ ატირებულ სახლეულსა და ლანკებზე ნაკადად ცრემლმომდინარე ხელმწიფეს გაოცებული მისჩერებოდა... საყვარელ შვილთან განშორება ყოველთვის, ყველა ვითარებაში ძნელია მშობლისათვის, მით უმეტეს მაშინ, თუ ეს-ეს არის ბავშვს დედა გარდაეცვალა...

ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს – დადგა წესის აგების ჟამი და გაუსაძლისი მწუხარებით გულდამძიმებული დედა – ნეტავი შემეძლოს, მეც ამ კვამლს ავყვე ზეცაშიო!..¹ – მწარედ აქვითინდა.

იმ მანდილოსნების შემდეგ, რომლებიც მიცვალებულის ნეშტს მიაცილებდნენ, ისიც კარეტაში ჩაჯდა და მალე სამგლოვიარო პროცესიამ ოტაგიმდე² მიაღწია, სადაც უკვე დაკრძალვის დიდებული ცერემონიალი იწყებოდა. მოიძებნება განა სიტყვა, რომელსაც დედის მწუხარების გადმოცემა შეუძლია!

– ვიცი, უაზრობაა იმაზე ფიქრი, თითქოს ისევ ცოცხალია ჩემი

¹ ...ო, ნეტავ შემეძლოს კვამლს ავყვე!.. – ნატრობს დედა შვილის სხეულის დანვის შემდეგ.

² ოტაგი – დედაქალაქის აღმოსავლეთით მდებარე მთები, სადაც დაკრძალვის წესჩვეულება ტარდებოდა.